ორ კვირაში დარბაზიდან გათავისუფლებულია 5 ბრალდებული

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ, ბოლო ორი კვირის მანძილზე, უკვე ხუთი ბრალდებული გაათავისუფლა სხდომათა დარბაზიდან. გამამართლებელ განაჩენებს შორის აღსანიშნავია, ორი არასრულწლოვანის საქმე.

ბ.ბ-ს და ს.ა-ს ბრალად ედებოდათ ქურდობის მცდელობა. არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული დასტურდებოდა, როგორც ბრალდებულების, ასევე მოწმეთა ჩვენებებისა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე.

თუმცა, სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულთა ასაკი და სხვა შემამსუბუქებელი გარემოებები. ორივე მათგანს გამოსაცდელ ვადად ხუთი წელი და რვა თვე დაუდგინა და არასრულწლოვნები სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა ასევე ბეჟან ბერინაშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა არასრულწლოვანის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება. ბრალდებული აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს, რომელიც ასევე დასტურდებოდა მოწმეთა ჩვენებებით, დაზარალებულის ჩვენებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ ბეჟან ბერინაშვილსაც სასჯელი პირობითი მსჯავრით შეუცვალა, მასვე დააკისრა ჯარიმა და იგი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ჯარიმას გადაიხდის ასევე, სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებული არტურ ატაბეკიანი. მას ბრალად ედებოდა ქურდობა.

სილოვან მურღულაიას ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ედებოდა ბრალი. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მას გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 6 წელი, ხოლო დამატებით სასჯელად დააკისრა ჯარიმის გადახდა ხუთი ათასი ლარის ოდენობით და ისიც სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ლევან ილინი ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება-გასაღებაში იყო ბრალდებული. მისი დანაშაული მოწმეთა ჩვენებებით, ყალბი საგადასახადო ანგარიშფაქტურით, დათვალიერების ოქმით, ბრალდებულის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დადასტურდა.

სასამართლომ ბრალდებულს, წინა შემთხვევების მსგავსად, პირობითი მსჯავრი და ჯარიმა აკმარა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მეწარმეებს დაკისრებული ჯარიმები მოუხსნა

ბოლო ერთი კვირის მანძილზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ორ შპს-ს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაკისრებული ჯარიმები მოუხსნა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „კახაბერი-2009“ და შპს „ძამა **NGD”** 500-ლარიან ჯარიმას აღარ გადაიხდიან. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, შპს „კახაბერი-2009“-მ სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიში დაგვიანებით წარადგინა. ამით მან ჩაიდინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა — წიაღით სარგებლობა სათანადო პირობების დარღვევით. კანონი ამგვარი სამართალდარღვევისთვის 500-ლარიანი ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს. თუმცა სასამართლომ მხარეებს შორის დავა შპს-ს სასარგებლოდ გადაწყვიტა. ადმინისტრაციულმა პალატამ დაადგინა, რომ „კახაბერი-2009“-ს არ ჩაუდენია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. კანონის შესაბამისად, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე დასვენების დღეს, ვადის დამთავრების თარიღად ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე. ამდენად, სასამართლომ აპელანტის მოთხოვნა სამართლიანად მიიჩნია და მისი საჩივარი ჯარიმის მოხსნის შესახებ დააკმაყოფილა. მეორე გადაწყვეტილებაც, ჯარიმის დაკისრების საკითხს ეხებოდა. თუმცა ამჯერად, სამართალდარღვევა სათანადო ლიცენზიის პირობების დარღვევით, წიაღით სარგებლობას შეეხებოდა. კანონი ამგვარი სამართალდარღვევისთვის ასევე, 500-ლარიანი ჯარიმის გადახდას ითვალისწინებს. საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დადგინდა, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ სამართალდარღვევის ოქმი ორთვიანი ვადის დარღვევით შეადგინა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ძამა- **NGD**“-სათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ და საქმე შეწყვიტა.

ფოთის საქალაქო სასამართლომ დავა ფიზიკური პირის სასარგებლოდ დაასრულა

ფოთის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ფიზიკური პირის, მამუკა შურღაიას სარჩელი ქალაქ ფოთის მერიის მიმართ. სასამართლომ ბათილად ცნო ფოთის მერიის გადაწყვეტილება მამუკა შურღაიასათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემაზე უარის თქმის შესახებ და მერიას დაევალა, გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა. საქმის მასალებიდან გამომდინარე, მამუკა შურღაია 1987 წლიდან ცხოვრობს სადავო ბინაში, რომელიც მას გადაეცა „ფოთის გემთსაშენი“ ქარხნის ადმინისტრაციის მიერ, როგორც ამ უწყების თანამშრომელს. სადავო ბინა 2003 წელს სააქციო საზოგადოება „ფოთის გემთსაშენი ქარხნის“ ბალანსიდან გადაეცა ქალაქ ფოთის მერიას და იგი 2003 წლიდან ირიცხება მერიის ბალანსზე. მოსარჩელემ 2011 წლის 5 აგვისტოს განცხადებით მიმართა მერიას და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით მისთვის გადაცემა, რაზეც მამუკა შურღაიას უარი უთხრეს. სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელე მამუკა შურღაია წარმოადგენს სადავო ბინის კანონიერ მოსარგებლეს, რადგან მას სადაო ბინა გადაეცა „ფოთის გემთსაშენი ქარხნის“ ადმინისტრაციის მიერ და 1987 წლიდან დღემდე ცხოვრობს და სარგებლობს სადავო ბინით. სასამართლომ, იმის გათვალისწინებით, რომ მამუკა შურღაია წარმოადგენს სადავო ბინის კანონიერ მოსარგებლეს, მიიჩნია, რომ ქალაქ ფოთის მერიამ არასწორად უთხრა უარი მამუკა შურღაიას ბინის უსასყიდლოდ გადაცემაზე, სასამართლომ დაავალა მერიას სადავო ბინაზე მოსარჩელის სახელზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა.